ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N123

2016 წლის 22 აგვისტო

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე თანხმობის მიცემისა და წლიური საწყისი საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ბ." ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს (ს.ევგენიძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 16,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ 20.43.03.003) 1 (ერთი) წლის ვადით იჯარის ფორმით სტომატოლოგიური კაბინეტის გასახსნელად;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 16,0 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის წლიური საწყისი საიჯარო ქირა განისაზღვროს 250 (ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე